№ 38

პარასკევი, 18 თებერვალი 1894

1877—1894

# ივერია

№ 38

პარასკევი, 18 თებერვალი 1894

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად: და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

**კნეინა ბარბარე ლუარსაბის ასული ჭავჭავაძისა შვილებითურთ და თავადი ნიკოლოოზ დიმიტრის ძე ჭავჭავაძე** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა თავადის **დავით დიმიტრის ძის ჭავჭავაძისას** ამა 1894 წლის 16 თებერვალს.

პანაშვიდი მიცვალებულის სულის მოსახსენებლად გარდახდილი იქმნება 16 და 17 თებერვალს, სალამოს 7 საათზედ.

მიცვალებულის გვამს ანდერძის ასაგებად სახლიდგან, რომელიც ჭავჭავაძის ქუჩაზედ იმყოფება, № 7, მიასვენებენ ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში პარასკევს, 18 თებერვალს, დილის 9 საათზედ, ხოლო დაჰკრძალავენ ყვარელში, განსვენებულის მამულში.

**ნინო როსტომის ასული მუსხელაშვილისა შვილებით** სთხოვს ნათესავთა და ნაცნობთა მობრძანდნენ 19 ამა თებერვალს, ათს საათზედ ქ. ახალციხეში წმ. მარინეს ეკკლესიაში დასასწრებლად ორმოცის წირვა-პანაშვიდზედ გარდაცვალებულის პირველის მეუღლისა და უკანასკნელთა—მამისა—**ნიკოლოოზ ივანეს ძის მუსხელაშვილისა.** (2—2)

## ფოთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების მმართველობისაგან.

**ფოთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების მმართველობა** აუწყებს თავის წევრთ, რომ კვირას, 27 მარტს ამა 1894 წელს დანიშნულია საზოგადო კრება წევრთა, დილის 10 საათზედ ფოთის საქალაქო გამგეობის სადგურში.

განსახილველად დანიშნულია:

1. განხილვა და დამტკიცება 1893 წლის ანგარიშისა.
2. დამტკიცება ხარჯთ-აღრიცხვისა 1894 წლისათვის.
3. არჩევანი მმართველობის თავმჯდომარისა სამის წლის ვადით იმის მაგიერ, რომელმაც თავისი ვადა სამსახურისა უკვე შეასრულა.
4. არჩევანი სამის დეპუტატისა იმათ მაგიერ, რომელთაც ვადა სამსახურისა შეასრულეს და თავს ანებებენ თავიანთ თანამდებობას.
5. არჩევანი სარევიზიო კომისიის სამის წევრისა და მათის სამის კანდიდატისა.

მმართველობა საზოგადოებისა სთხოვს ბბ-ნთ წევრთ, რომელთაც რწმუნების ქაღალდები აქვთ კენჭის ყრაში მონაწილეობის მისაღებად საზოგადო კრებაზედ, საზოგადოების წესდების მე-36§-ის ძალით, წარმოუდგინონ იგი რწმუნების ქაღალდები მმართველობას სამის დღის წინად საზოგადო კრების დაწყებამდე, ესე იგი, ამ წლის 24 მარტზედ არა უგვიანეს. (3—1)

სამშაბათს, 22 თებერვალს,

ტფილისის კრუჟოკში

დანიშნულია

კოსტუმებით მოსილთა

# ბალი

ტფილისის საქველ მოქმედო საზოგადოების საშუალებათა გასამდიდრებლად.

ქალებს შეუძლიანთ გულ-დახურული კაბებითაც დაესწრნენ.

ბილეთების ყიდვა შეიძლება კრუჟოკის შვეიცართან. ბალის დღეს-კი იქვე დარბაზის შესავალთან.

ბილეთების ფასი ქალებისათვისა და კაცებისათვის 2 მ. 10 კ. (2—1)

ამ წლის პირველ მარტიდამ ტფილისის ტამოჟნის მოხელეთათვის არსდება

**სახელმწიფო დამზოგველ-შემნახველი კასსა,**

რომელიც მიიღებს შესანახავად ფულს ხუთი შაურიდამ ხუთ თუმნამდე თითოეულ მიტანაზედ. ეს კასსა მისცემს სარგებელს წელიწადში მანეთზე ოთხ კაპეიკს; აგრეთვე ფულის მიმბარებელს ყოველ დროს შეეძლება გამოიტანოს თავისი ფული ხვედრის სარგებლით. კასსა ღია იქმნება სამშაბათობითა და შაბათობით სალამოს 4—7 საათამდე და კვირა დღეობით 9—11 საათამდე. (3—2)

## ტფილისი, 18 თებერვალს

—

ჯერ კიდევ ის ხელთათმნები არ გაცვეთიათ საფრანგეთის პატრიოტებს, რომლითაც ალტაცებით ართმევდნენ ხელს თავის ძვირფასს რუსის სტუმრებს ზაფხულში და ისეთი საქმე-კი ჩაიდინეს, რომელმაც დიდად ატკინა გული რუსეთის საზოგადოებას, და იქნება კიდეც დააეჭვა, იგი ფრანგთა უანგარო მეგობრობის შესახებ.

მაშინ როდესაც, გერმანია და რუსეთი, რომელთა დამოკიდებულება ასე გამწვავებული იყო, რიგდებიან საურთიერთო ბაჟის შესახებ საქონელზე, და ამ სახელმწიფოთა წარმომადგენელნი ნადიმებს უმართავენ ერთმანერთს, საერთო მოქმედებასა და მეგობრობაზე ლაპარაკობენ, ამ დროს საფრანგეთის პარლამენტი ისეთ ბაჟს აწესებს რუსეთის პურზედ, რომელიც სრულიად შეუძლებელად ჰხდის ამიერიდგან რუსის პურის შეტანას ამ ქვეყანაში.

მართალია, ყოველი სახელმწიფოს ზრუნვა პირველად იმაზედ უნდა იყოს მიქცეული, რომ თავისი მამულისშვილნი მოგებულნი იყვნენ თითოეულის მთავრობის კანონისა და განკარგულების გამო; მაგრამ საფრანგეთის პარლამენტის განაჩენში სულაც არ იხატება ასეთი საერთო ზრუნვა ყველა მცხოვრებთა შესახებ; არ იხატება ზრუნვა მეტადრე იმათ შესახებ, ვისაც ყველაზედ უფრო ეჭირვება დახმარება და შემწეობა. ამ გვარის დახმარების მსაჭიროებელი-კი პირველად არის მუშა ხალხი, რომელიც მიწას მოშორებულია და სხვა-და-სხვა ხელობით სცხოვრობს ქარხნებსა და სახელოსნოებში. ამ რიგის ხალხს ახალის კანონის ძალით, თითოეულს სულზედ ემატება ზედმეტი გადასახადი პურის საყიდლად წელიწადში 25 ფრანკი და ოჯახზე 100 ფრანკი.

ცხადია, ამ სიდიდე ბეგარის დადება ისეთ ოჯახზედ, რომელიც დღითი-დღე მხოლოდ საკუთარის თავის ხელის შრომით ინახავს თავს, არ ითქმის, რომ კარგი ზრუნვა იყოს საზოგადოდ საფრანგეთის მამულის შვილთათვის.

მაგრამ რესპუბლიკელ დეპუტატების განაჩენს, რომელიც სრულიად მოსპობს რუსეთის პურის გასაღებას საფრანგეთში, ბევრად უარესი სამწუხარო ხასიათი აქვს სხვა მხრივ: ამ ახალის კანონის შემდეგ, რუსეთის საზოგადოებას დიდი საბუთი მიეცა სთქვას, რომ ფრანგთა მეგობრობა და პოლიტიკური დამოკიდებულება ვერ ყოფილა იმ წრფელ ნიადაგზედ აგებული, რომელზედაც შესაძლებელი იყოს საფუძვლიანი საერთო შორისო კავშირის დაისკვნას.

დღევანდელი რუსეთიდან მოსული გაზეთები ჩინებულად ამტკიცებენ, რომ საფრანგეთის პროტექციონისტების გამარჯვებას სწორეთ ასეთი გავლენა ჰქონია რუსეთის საზოგადო აზრზედ.

„პოლიტიკურის მოსაზრების უყურადღებოდ დატოვება არ შეუძლიან ევროპის არც ერთს ქვეყანას, რადგანაც პოლიტიკურ და ეკონომიურ საქმეთ ისეთი მჭიდრო კავშირი აქვთ ერთმანეთთან, რომლის უარ-ყოფა ყოვლად შეუძლებელიაო“, ამბობს ერთი პატივცემული რუსეთის გაზეთი.

ძნელი სათქმელია ახლა, რა შედეგი მოჰყვება ფრანგ-რუსთა დამოკიდებულებისათვის პარლამენტის განაჩენს; მაგრამ ის-კი უეჭველია, რომ ამ ზაფხულის აღტაცება საფრანგეთ-რუსეთისა ერთისაგან მეორის განელდა, და უკმაყოფილების კილო თანასწორად მოისმის, როგორც პარისიდან, ისე პეტერბურგიდან.

განსხვავებულის ყურადღების ღირსი ამ საქმეში ის არის, რომ ფრანგ-რუსთა ეკონომიური განხეთქილება სწორედ მაშინ მოხდა, როდესაც ბერლინში ამგვარისავე საგნის შესახებ თათბირი რუს-გერმანთა დელეგატებისა მშვიდობიანად და სასიამოვნოდ დაბოლოვდა ორივე ერისათვის.

პარისში მეგობრობამ აღკრძალა რუსეთის პურის შეტანა საფრანგეთში, ბერლინში-კი უკმაყოფილებამ ვერა დააკლო-რა ამავე სავაჭრო საგანს.

ცოტა მოულოდნელი ამბავია, მაგრამ დავიცადოთ და ვნახოთ, რა გამოვა რისაგან...

მეველე

## ახალი ამბავი

—

⁂ ჩვენ ნამდვილად შევიტყეთ, რომ მთავარ-მართებელთან წარდგენილი ორი პროექტი, ერთი, ტფილისის საურთიერთო სამეურნეო კრედიტის საზოგადოებისა და, მეორე, ბათუმის საურთიერთოვე კრედიტისა უკვე შეწყნარებულ იქმნა აქაურ მთავრობისაგან და ამ მოკლე ხანში გაიგზავნება ფინანსთა სამინისტროში გასასინჯავად და დასამტკიცებლად.

⁂ წინამძღვარი შიომღვიმის მონასტრისა, ეპისკოპოსი ალექსანდრე მწირველი იქმნება შიომღვიმის მონასტერში 24-ს თებერვალს, თვით მონასტრის დღეობას, ყველიერის ხუთშაბათს.

⁂ ამ ჟამად ახალციხის მაზრის საფარის მონასტერში იმყოფება ერთ დროს ფრიად ცნობილი აშინოვი, რომელმაც აბაშეთში ლაშქრობით მიიქცია ყურადღება, და რომელსაც ამ სამის წლის წინად ბ. ჟულიეტა ადანის სალონში წარუდგნენ საფრანგეთის მწერლები, მინისტრები, აკადემიკოსნი და სხვა წარჩინებულნი. აშინოვი ჩამოჰყოლია არხიმანდრიტ პაისის, რომელსაც საფრის მონასტერში რამდენიმე რუსეთის ბერი ჩამოუყვანია და აქ დამკვიდრებულა. მიზეზი აშინოვის საქართველოში „ჩამობრძანებისა“ ნამდვილად არ ვუწყით.

⁂ ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსი ინჟინერი ბ-ნი პუშეჩნიკოვი გუშინ, 17 თებერვალს, გაემგზავრა ბაქოს.

იქიდგან 18 თებერვალს დაბრუნდება საგანგებო მატარებლით. ეს მატარებელი ოთხს დღეს მოუნდება ბაქოდგან ტფილისამდე ჩამოსვლას, რადგანაც პუშეჩნიკოვმა უნდა დაათვალიეროს გზა და განსაკუთრებით რკინის გზის ხიდები.

⁂ ახალციხე: საფარის ძველის მონასტრის წინამძღვრად დანიშნულს არხიმანდრიტს მამა პაისს, რომელიც აბაშეთში იყო 1888 წელს ბერებითა, მონოზნებით და რუსის ყაზახებითა აშინოვთან ერთად, წამოუღია იქიდგან, არ ვიცი-კი ვისგან და როდის და მოუტანია საფარაში წარსულ საუკუნეში შეკერილი ოლარი, ქართულის ნაწერებით. ამ ოლარს აქვს სიგძე ორი არშინი და, სიგანე შეიდი გოჯი, სარჩული აქვს მწვანე ყანაოზისა, ხოლო თვითონ რა ფარჩაა, არ ეტყობა, რადგან სრულიად დაფარულია ოქრო-მკედით ნაკერის მხატვრობითა და სადა ადგილებიც ოქრო-მკედ ნაკერი წითელის აბრეშუმის ძაფითა. ოლარზედ ათი ოთხ-კუთხი უჯრედია და ზედ ხატები ნაკერი. ამ ხატებს თავებთან უწერიათ ნაკერის ხუცურის ასოებით: წმ. იოანნე ოქროპირი, წმ. ბასილი, წმ. ნიკოლოზი, წმ. სპირიდონი, წმ. ბართლომე, წმ. კირილე წმ. ათანას, წმ. პეტრე, წმ. მაკარი წმ. მაქსიმე. ერთს გვერდზედ აწერია ხუცურის ასოებითა ზემოდგან ქვემომდე ერთს რიგად ანუ სტრიქონად შემდეგი: წმიდა ცხოვრების მომცემელო და ნათლით შემოსილო საფლაო ქრისტესო შემოგწირე ცოდვილმან და ულირსმან ერისთავის ქალმან თამარ ორარი ესე სულისა ჩემისა საოხად. მეორე მხარზედ აწერია ზემოდგან ქვემომდე ერთ სტრიქონად შემდეგი: წმიდა ასულისა ჩემისა დედოფლისა ანნას წარსამართებლად შეიწირე, ვითარცა მოგვთა ძღვენი და ქვრივთა წვლილი, და მეოხ მეყავ დღესა მას დიდისა განკითხვისასა ამინ, ამინ, ამინ.

⁂ გაზეთებს გაუგონიათ, რომ უმართებულესს სენატს გაურკვევია ამ ჟამად, თუ რა წესით უნდა იქმნან მიცემულნი სამართალში სოფლის მოხელენი. რადგან სისხლის სამართლის წესდებაში მოხსენებულია, რომ სამართალში მიცემა მუდამ საკოლეგიო დაწესებულების საქმეა, ამიტომ იქ, საცა მომრიგებელნი შუაკაცნი არიან და შემოღებულია სამოსამართლო წესდებანი იმპერატორ ალექსანდრე II-ისა, სოფლის მოხელეს, თუ რამ დაუშავებია სამსახურში, მარტო ოდენ მომრიგებელი შუაკაცი ვერ მისცემს სამართალში. ეს შეუძლიან მხოლოდ მომრიგებელ შუა-კაცთა კრებას.

⁂ 4 თებერვალს იყო პეტერბურგში ბჭობა ბაქოელ ნავთის მწარმოებელთა და მექარხნეთა წარმომადგენლების ორისავე ჯგუფისა. ბჭობამ შესაძლოთ სცნა ერთად შეკავშირება ორისავე ჯგუფისა. შეკავშირების საფუძვლად დარჩება ძველი მორიგება, მცირეოდნად შეცვლილი. კავშირის მეთაურად იქმნება კომი-

ტეტი, რომლის 9 წევრთა-შორისაც 5 უნდა იყოს პირველის ჯგუფისა, ხოლო 4—მეორესი. კომიტეტმა უნდა აირჩიოს სამი აგენტი ნავთის სასყიდლად სამზღვარ-გარეთის ბაზრებში. შემდეგ წარმომადგენელნი ორისავე ჯგუფისანი მოაწერენ ხელს მორიგებას და მას უკან კვლავ გაიმართება ბჭობა სარკინის-გზო საქმეთა დეპარტამენტში, რომ გამოარკვიონ, შეიძლება თუ არა შეამცირონ ტარიფი სამზღვარ-გარედ გასატანს ნავთზედ ამიერ-კავკასიის რკინისგზით.

*** მთავრობას განუზრახავს, რომ გადაუწყვიტოს, რა ხანს შემდეგ აღარ უნდა დარჩეს სამსახურში სამოსამართლო უწყების მოხელე. ასეთ ხანად ჩაუთვლიათ 65 წელი. მაგრამ სასამართლოთა და პალატის მოხელეთა საერთო კრებას შეუძლიან კენჭი უყარონ იმას, რომელთაც უკვე მიუხწევიათ ამ ხნისათვის და კვლავ დასტოვონ სამსახურში ხუთის წლის ვადით. სამსახურში უნდა ჩაითვალოს ის ხანიც, რა ხანსაც მოხელე ყოფილა სამოსამართლო თანამდებობის კანდიდატად.

*** გაზ. „Русская Жизнь»-ის სიტყვით, კავკასიის სამხედრო-საერო გამგეობათა დაღისტანისა, ყარსისა და ბათუმის მილიციის აფიცრებს დროებით მინიჭებული აქვთ უფლება უსასყიდლოდ იწამლონ სამხედრო სამკურნალოებში.

*** 15 თებერვალს პოლიციელმა პოლზიკოვმა პოლიციის მესამე ნაწილში მიიყვანა გრძნობა მიხდილი ჯარის-კაცი გიორგი დიაკონოვი. დიაკონოვი იქვე გარდაიცვალა.

*** ამავე დღეს ამაღლების ქუჩაზედ შანშიევის სახლში თოფების ოსტატმა ნიკოლოოზ ობლოგინმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ წარსულის წლის დეკემბერში ტფილისის მცხოვრებელმა გ. ი—ვმა რტიშჩევის ქუჩაზედ საკანდიტეროში 14 წლის ქალიშვილი გამიუპატიურაო. დამნაშავე გამომძიებელს გადასცეს.

*** ამას წინად რკინის გზის კონდუქტორები ორჯონიკიძე და მჭიტაძე რომ გაჰქურდეს იმათი ვექსილები და ბანკის ბილეთები მიხეილის ქუჩაზე უპოვნია ერთს ცხენის რკინის გზის კონდუქტორს და პოლიციაში წარუდგენია.

ვექსილებთან ერთად უპოვნიათ პასპორტი სოფ. კოპდირინის მცხოვრებელის მაკკეი კოეკინისა. კოეკინი შეიპყრეს.

## დამაკვირდი

სიხარული და მწუხარება ერთმანეთს იმაში ჰგვანან, რომ ერთიცა და მეორეც ხშირად გვიხშობს გონებას.

პლატენი

**

ორი რამ არის გაუმაძღარი: ცნობის მოყვარეობა და ხვეჭის-მოყვარეობა.

ლოკმანი

## კორესპონდენცია

**კახეთი.** 15 თებერვალი. შარშანდელი ზამთარი, როგორც მოგეხსენებათ, მეტად მძიმე იყო კახეთის მკვიდრთათვის ჯერ იმით, რომ ადამიანის საზრდო პური ძალიან ნაკლებად და ძვირად იყო, და მერე იმით, რომ თავის თოვლიანობით გააწყო აუარებელი შინაური საქონელი და თავის გადაჭარბებული ყინვა-სიცივით მრავალი ვაზი გადაახმო ვენახებში... ჩვენდა სასიხარულოდ, მდგომარე ზამთარი საამისოს არაფერს წარმოადგენს: გაქრა ის შიმშილის ზარი, რომელიც შარშან აქა ტრიალებდა, თუმცა ვერ ვიტყვით-კი ვერც ეხლა, რომ პური იაფი იყოს, რადგანაც კოდი სამი მანეთიდამ ოთხ მანათამდე ადის... აღარ ჩამოწოლილა შარშანდებურად არზანი (დიდი თოვლი), თუმცა ამ ზამთარში ერთხელ მოსული თოვლი, რომელიც ქრისტიშობის თვეში დასდო, უფრო გამძლე გამოდგა, ვიდრე შარშანდელ ზამთარში განუწყვეტლად ნათოვნი, რადგანაც ახალ მოსულს თოვლს ერთბაშად გამოუდარა, ძალიან გაყინა და დააზრო, რის გამოც თებერვალამდე, სანამ ცამ არ მოუმარაგა და მიწას ხალბაშინი (ქინქლიანი თბილი დარები) არა ჰკრა, იგი არ ამშრალა. სიმართლე რომ სთქვას კაცმა, წლევანდელ თოვს რგების მეტი არა დაუშავებია-რა, რადგანაც მინდვრის ნათესები, ცოტად თუ ბევრად, როგორც ვფიქრობთ ჯერ ჯერობით, დაიფარა საშინელის ყინვისაგან. რაც შეეხება ამ ზამთრის ყინვა-სიცივეს, რომელიც შარშანდებურზე, თუ მეტი არა, ნაკლები არ იყო, ამან უფრო შეაწუხა, რასაკვირველია, ზოგიერთა ადგილების ხალხი ჯერ იმით, რომ, როგორც წინადაც ვამბობდი, მრავალგან წყლები დააშრო, წისქვილები დააყენა, ხალხი უნავქოდ დასტოვა და სასმელის წყალის უქონლობამ და სიშორემ ხომ საქმე გაუჭირა ხალხს და საქონელს: სამი-ოთხის ვერსის მანძილზე მიდიოდნენ წყლისათვის და მიუდიოდათ საქონელი საშინელ ყიმიათობაში. მერე იმით შეაწუხა ხალხი ყინვამ, რომ შემოდგომით დაგოლვილი ნიადაგი, რომლისთვისაც ჯერ სისველეს ძვალ-რბილში არ დაევლო, ისე გაჰყინა, რომ ვის შეეძლო მიწისათვის ბარი დაეკრა, სანამ თებერვალი არ დადგა. ამ ყინვების მიზეზით დღეს ვენახის შემუშავება უკან არის ჩამორჩომილი. ამას კიდევ აიტანს ხალხი, თუ რომ მინდვრის ნათესი და ვაზი ვენახში მაინც უვნებლად გადარჩა ყინვებს, მაგრამ ნამდვილი ჯერ არა იცის-რა ხალხმა; ამას გაზაფხული გამოაჩენს.

რის ვაი-ვაგლახით და წიოკობით მოიშორა კახეთის მკვიდრმა წასულის წლის «ფოსტის ფული», რომ ამ თებერვალში გადაეცა მამასახლისებს «ფორმები» და ებძანათ, გადასახადი მარტშივე უნდა შეიტანოთ ხაზინაშიო, ამის გაგონებაზედ, თქვენი მტერი დაღონდეს, როგორც ხალხი დაღონდა! ან-კი როგორ არ დაღონდეს, როცა არ შეიძლება ადამიანმა დაასახელოს ერთი შემოსავლის წყარო მაინც, საიდამაც აქაური გლეხი ნაღდს იღებდეს სხვა-და-სხვა ხარჯის დასაფარავად! ერთი ვენახია, და ამის მოსავალსაც ფასი არა აქვს, ფასს ვინა ჩივის, მყიდველიც არავინ არის. სულ ვალი და ვალი ხარჯის გასასტუმრებლად!.. ზოგიერთა სოფლები აპირობენ, სთხოვონ „ნაჩალნიკს", აგები ცოტახან მაინც გვადროვონ, თორემ ფულის პატრონი ჩარჩები დაგვანელებენ, ჩაფს ღვინოს ორ აბაზად-ათ შაურად წაიღებენ ჩვენგან, როცა გაჭირვებაში დაგვინახავენო! რა პასუხი გამოუვათ თხოვნაზე, ამასაც გავიგებთ.

ფშაველიშვილი

**ქართლი.** ერთმანერთის გაუტანელობამ, შურმა და მტრობამ დაგვღუპა წინად და გვღუპავს ახლაც. აი ერთი მაგალითი ამისა: სოფელს მერეთში, პატარა ლიახვის ხეობაზედ, ამ ოთხიოდ-ხუთიოდე წლის წინად დაარსდა სკოლა. სკოლას ინახავდა სამიოდ-ოთხიოდე სოფელი ერთად. საქმე დაიწყო და მიდიოდა ნელ-ნელა, იკიდებდა ფეხს და ცდილობდა თავი შეეყვარებინა გლეხ-კაცობისათვის. მაგრამ გამოუჩნდნენ მტრები და, ისე თქვენი მტერი იყოს, როგორც დღეს მერეთის სკოლაა. ჯერ ერთი სოფელი გამოეცალა და მიეწერა ვანათს, საცა სკოლა აქვს გამართული „კავკასიაში ქრისტეანობის აღმადგენელ საზოგადოებას" და საცა უფასოდ ასწავლიან ბავშვებს, მერე სხვა გარეშე სოფლელები შეაგულიანეს, ნუ ატარებთ მერეთის სკოლაში თქვენს შვილებსაო. თვით მერეთი მაინც თავისას არ იშლიდა და მერეთელთა ბავშვები მაინც საკმაოდ დადიოდნენ სკოლაში. მაგრამ ბოლოს აქაც გაჩნდნენ ისეთები, რომელთაც შეაგულიანეს უშვილონი, უსაქმონი, სიბნელის მომხრენი და საქმე იქამდე მივიდა, რომ სოფელმა გადასწყვიტა, ვინც სკოლაში შვილი გაჰგზავნოს, 5 მანეთი ჯარიმა გადიხადოსო. წავიდა და დაიღუპა სკოლა. აგერ ერთი წელიწადია, რაც აქ სკოლის ხსენებაც აღარ არის. შარშან დეკემბერში მოვიდა სკოლების დირექტორი ბ-ნი დარსკი, მაგრამ იმის მოსვლამაც საქმეს ვეღარა უშველა-რა. ამოდენა ხეობაზე თითქმის სკოლა არსად არ არის. ნეტავ, რა ეშველება, საზოგადოდ, ქართლს, რომელსაც ასე ნაკლებადა აქვს ხალისი სწავლა-ცოდნის შეძენისა, ასე ყურ-მძიმეა, ასე მორიდებული წიგნისა და სწავლა-ცოდნისა. ასეთს ყოფაშია არა მარტო გლეხ-კაცობა, რომელიც ჯერ ისევ მამა-პაპეულ სიბრძნით, მამა-პაპურ ანდერძებით გამოდის იოლად და ამ ძველს, დიად პატივსაცემ სიბრძნესა და ნაანდერძევ ცოდნა-გამოცდილებას არას უმატებს, ახალს ცოდნა-სწავლას, ახალს გამოცდილებას ზედ არ ურთავს, არამედ თავად-აზნაურობაც. არა გვგონია სადმე საქართველოში იმდენი უსწავლელი, ღარიბ-ღატაკი თავად-აზნაური იყოს, როგორც ჩვენს ლიახვის ხეობაზედ. გლეხ-კაცობას ხომ ნუღარ იტყვით. ასს ოჯახში ერთს ვერ იპოვით, რომ წიგნები ჰქონდეს, კითხვას მისდევდეს. ძველის საგზლით განა როდემდის უნდა წავიდეს იოლად ეს შუა გული საქართველოსი, ეს დედა საქართველოს სხვა ნაწილებისა?!...

## წერილი ჭიათურიდგან

ბევრი საკვირველი და სამწუხარო ამბებია ჩვენსკენ, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, არავინ არის ჩვენი გამკითხველი და ყურის მგდებელი, რის გამო სოფელი რამდენისამე თავ-აღებულ ჭუჭყიან გრძნობა-გონება დახშულს დარჩენია სარიკაოდ; გააქვთ და გამოაქვთ იმათაც სოფელი და, როგორც იტყვიან «მიუცია ღმერთს და არ მიუფასებია». რამდენი სამწუხარო ამბები უნდა მოგითხროთ, რომ ჩვენის სოფლების მდგომარეობა გაგაგებინოთ! ორი-სამის გაპირუტყვებულ კაცის ნამოქმედარი მთელს ჩვენს სოფლებს ჩირქსა სცხებს და ადამიანურს სახეს უკარგავს. სათავეს ძებნა ასეთის დაქვეითებისა, ზნეობით დაცემისა და გაპირუტყვებისა შორს წაგვიყვანს, ამიტომ სიტყვას მოვსჭრი და ისე თვალ-გადავლებით შევატყობინებთ ჩვენს ჭირ-ვარამს.

ის სამი თუ ოთხი სოფელი, სადაც შავი-ქვის მუშაობაა დღეს, სწორედ ჯოჯოხეთად არის გადაქცეული; სადაც-კი ვინ ყოფილა გაპირუტყვებული, ზნეობა-დაცემული, ლოთი-გაიძვერა, ქურდი და მუხანათი სუყველას ჭიათურას, რგანსა, პერევისასა და შუქრუთში მოუყრია თავი და, რა უწესოება უნდა იყოს, რომ იმათი ხელიდგან არ გამოდიოდეს. აი თვით მაგალითი ზოგიერთ აქაურ ნოქრების მოქმედებისა. სოფელს „ვაჭევში" (6 ვერსია ჭიათუ-

# ფელეტონი

### საკუთარი რამე რუმე

(წერილი პროვინციიდამ)

ვერაფერი სასიამოვნო წელიწადი დაგვიდგა. სხვა-და-სხვა სენი და მოარული ერთი მეორეს ეცილება, რომ სასიკვდილე ცელი მოგვისვას და სამუდამოდ გაგვისტუმროს იქ. მე რომ კაცმა მკითხოს, დიდად მადლობელნი უნდა ვიყვნეთ ასეთის გასტუმრებისათვის იმ ჩვენის უჩინარ კეთილისმყოფლებთან, რადგანაც ჩვენი ცხოვრება ამ ბოლოს დროს წარმოადგენს ერთს უშველებელ ზღვას ჭირისას, მწუხარებისას, ურვისას, სულთქმისას და ყოველ გვარ ვაგლახისას და უბედურებისას. ხოლო რასაკვირველია, რომ ასეთის ცხოვრების მოშორება ნეტარებად და ბედნიერებად ჩასათვლელი უნდა იყოს; მაგრამ მაგარი ის არის, რომ „სული მწარეა", როგორც იტყვიან ჩვენში ე. ი. გაყრა სულ-ხორცისა და ისიც სენ-მოარულის მედიატორობით, რა თქმა უნდა, ძნელად შესარიგებელი საქმეა, საშიშრად წარმოსადგენი წამია. ამიტომ რა აუტანელ გაჭირვებაშიაც უნდა იყოს კაცი, სიცოცხლე მაინც ფას-მიუწდომელია მისთვის. ჩვენც კაცნი ვართ (საკუთარის ჩვენისავე მოწმობით, რასაკვირველია, თორემ სხვები, როგორც მოგეხსენებათ, ნადირისა და მხეცის სახელით გვნათლავენ), სიკვდილი ჩვენთვისაც გასაჭირია, სიცოცხლის ფასი ჩვენც ვიცით. მაგრამ რა თავში იხლით ყოველსავე ამის ცოდნას, როცა ძალიანაც რომ გინდოდეთ, დაუპატიჟებელ ცელიან სტუმარს თავიდამ მაინც ვერ მოიშორებთ. დარაჯნი ჩვენის ჯანმრთელობისა არა თუ ზამთარში და ცუდ ამინდში, არამედ ზაფხულში და კარგ ტაროსშიაც არ დაიძვრიან. ხოლო თუ მაინცა და-მაინც შეაფურთხეს ეშმაკს და დაიძრნენ, უეტლოდ მაინც არსად წაბრძანდებიან. ეტლის დაქირავება, ღარიბ-ღატაკის კაცის ჯიბე, სოფლის ტალახიანი ოღრო-ჩოღრო გზები ვერ არიან კარგად მოწყობილნი და ეს არის მიზეზი, რომ ჩვენში ყოველ გვარ სენსა და მოარულს ნიადაგ დიდი სამკალი აქვს და მკის კიდევაც. როცა ამ სულის შემზარავსა და შემაძრწუნებელ მკას უცქერით, სასოწარკვეთილი ეკითხებით თქვენს თავს: როდემდის გასტანს ასეთი უნუგეშო ყოფა როდის იქნება, რომ ჩვენის მიწა წყალის შვილები სამკურნალო მეცნიერების შეძენას მარტო თბილისა და ლბილ ადგილის მოსაპოებლად არ შეუდგებიან, არამედ უნუგეშოთა სანუგეშოდ, გაჭირვებულ მოძმეთა ხელის გასამართავად? ოუმცა ბევრსა ვყვირით, წინ მივდივართ და ვნათლდებითო, მაგრამ, აბა, ერთი სინიდისის ქვეშა ვსთქვათ, ბევრი რამ გაგვიკეთებია წინ-სვლისა და განათლებისათვის? ჯერ იმდენიც ვერ მოგვიხერხებია, რომ უიმისოდაც ათასნაირად დაბეჩავებულნი მოძმენი მკითხავთა ბრჭყალებისაგან დაგვეხსნა. ჯერ კიდევ სოფლად მკითხავთა და შემლოცავთა ხელ-შეუხებელი ბრძანებლობაა. სოფლებში ჯერ კიდევა სწამთ, რომ სენისა და მოარულის გულს სხვა-და-სხვა გვარის „მობოდიშებით" და თაყვან-ცემით მოვიგებთ და მით სიცოცხლეს გამოვისყიდითო. ეს არის წინ-სვლა და განათლება!?..

სასწავლებელში ყოფნის დროს ყველა დიდ-დიდ პროექტს ადგენს თავისთვის ქვეყნისა და მოძმეთა სამსახურისას; ყველა ჰფიცავს ფიცითა მტკიცითა, რომ ზვარაკად დავიკვლი, მსხვერპლად შევიწირები ჩემის ქვეყნის გულისათვისო. მაგრამ გამოდიან თუ არა სასწავლებლიდამ დიპლომებით აღჭურვილნი, წინანდელი ფიცი და აღთქმა სრულიად უქარწყლდებათ, „ქვეყანა და ქვეყნის საქმე ფეხებზედ ჰკიდიათ" და მხოლოდ იმას-ღა სცდილობენ, რომ სადმე სამსახურში თავი შეაფარონ და უდარდელ-უზრუნველი ცხოვრება მოაწყონ თავისთვის. ამას შემდეგ არა თუ „ქვეყანა და ქვეყნის საქმე" აღარ ახსოვთ, არამედ იმდენად ჩაებმიან ხოლმე ცხოვრების უაზრო ფერხულში, რომ უნივერსიტეტიდამ გამოყოლილ საამხანაგო ვალის გარდახდაც ავიწყდებათ. როცა საამხანაგო ვალს ასე უკადრისად ექცევიან, რა თქმა უნდა, საქვეყნო მოვალეობისათვის ხომ სრულიად აღარ იცხელებენ თავს... აბა, მიჩვენეთ რომელიმე უმაღლეს სწავლა-დამთავრებული ახალგაზდა, რომელიც სოფლად ცხოვრობდეს და თავის აზრიანის ცხოვრებით გზა და ხიდი იყოს თავის მოძმეთა და თანამემამულეთა! ჩვენი ღონე და უღონობა სოფელია და განათლებულის კაცის ჭკუა-გონებაც სწორედ აქ უნდა მუშაობდეს. დღეს-კი სოფელი და მისი ავ-კარგი მიუნებებიათ სოფლის მასწავლებელთათვის და ეუბნებიან, უპატრონეთო. ხოლო ვინ არ იცის, რომ ყველა სოფელში სასწავლებელი არ არის და, მაშასადამე, არც მასწავლებელია. თუნდაც იყოს ყოველ სოფელში მასწავლებელი, მაინც ბევრი არაფერი გაკეთდება ამით, რადგანაც ერთადერთი კაცი, რაც უნდა დიდი გულშემატკივარი და ერთგული იყოს საქვეყნო საქმისა, სოფლის ათას გვარ საჭიროების გაძღოლას ვერ შესძლებს. ამას გარდა, სოფლის მასწავლებლებს ამ ბოლოს დროს ათასნაირი მუხრუჭი აქვთ მოჭერილი და გარეშე სკოლისა ვერავითარ სხვა საქმეში ჩარევას ვერ გაჰბედვენ.

ამ ნაირად სოფელს სულ სხვა გვარი პატრონობა და მზრუნველობა ეჭირვება. სოფელში უნდა საქმობდეს ნასწავლი მეურნე, რომ სამეურნეო სწავლა-ცოდნის სარგებლობა გააგებინოს სოფელს. სოფელში უნდა იღვწოდეს მკურნალი, რომ მკითხავთა, შემლოცავთა და დამღუპველ ცრუ-მორწმუნეობათაგან დაიხსნას ბეჩავი ხალხი და სამაგიეროდ თითონ

რიდამ) 23 იანვარს შეუცვივდნენ ერთს კაცს შვიდი-რვა შეიარაღებული ყმაწვილი კაცები სახლში და მოსტაცეს გასათხოვარი ქალი. ამ დროს თვით სახლის პატრონი სახლში არ იმყოფებოდა; უბედურმა დედამ ბევრი იყვირა, მაგრამ მშველელი არავინ გამოჩნდა, მხოლოდ ერთის მეზობლის ბიჭი გამოვარდა გარედ და ყაჩაღებს დაედევნა, მაგრამ უბედური ტყვიით დასჭრეს და თავიანთ გზას გაუდგნენ. მეორე დღეს მამაც მოვიდა გატაცებულის ქალისა, იქით ეცა, აქეთ ეცა, მაგრამ იმ მხეცების კვალი ვერ გაიგო; ბოლოს გამოჩნდა ღვთისნიერი კაცი და ასწავლა, რომ მაგ თავზედ ხელ-აღებულთა რაინდი ამა და ამ სოფელშია დაბინავებულიო. მამა მაშინვე ბოქაულით და იასაულებით წავიდა და მოიყვანა შინ თვისი შვილი, მაგრამ რაინდი-კი ისე გაუსხლტა პოლიციას ხელიდგან, რომ სათოფეთაც ველარ მიიახლოვეს.

სხვა უბედურებასთან რაღა ამისთანა არევ-დარევა ეჭირვება ჩვენს ხალხს. შარშან, როგორც მოგეხსენებათ, ზემო იმერეთში ძლიერ გლახა მოსავალი იყო, ასე რომ შობამდინაც არ ჰყოფნია ზოგიერთს სარჩო. თუმცა გურია სამეგრელოდგან მოაქვთ სიმინდი ჩარჩებს, მაგრამ ერთი-ორად და ერთი-სამად ჰყიდიან.

ამ უბედურებას ერთი უბედურებაც თან მოჰყვა. ოჯახს ვერ ჰნახავთ, რომ ორი სამი ავადმყოფი არ იწვეს; მშველელი-კი არავინ არის. მთელს საჩხერის „უჩასტკაში“ მხოლოდ ერთი ექიმია, საიდგან უნდა მიჰმართოს გლეხმა ექიმს, როდესაც ფული არა აქვს და, რომ ჰქონდეს კიდეც, მაინც ზოგიერთი სოფელი ისე დაშორებულია საჩხერეს, რომ ერთი ან ორი დღე მოუნდება ექიმის მიყვანას და ამასობაში-კი ავადმყოფს თავისი ემართება.

ეჰ, რამდენი ერთი ვსთქვათ, რამდენი ერთი მოგითვალოთ: „სხვა-და-სხვა ჭირი ჩვენზედა არ ახალია, ძველია.“

ჭიათურელი

---

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებითგან)

ამას წინად ინგლისის გაზეთებში დაბეჭდილი იყო სტამბოლიდგან მიწერილი ამბავი, რომ ვითომ რუსეთის მთავრობას მოლაპარაკება აქვს სპარსეთთან და უნდა პირობა ჩამოერთვას, ნება მიეცეს რუსეთის შავის ზღვის ფლოტს გაიაროს სრუტე და ხმელთა შუა ზღვის ფლოტს შეუერთდესო. ამის შესახებ გაზ. «Nord»-ი სწერს:

ეს ამბავი სიმართლის მარცვალს მოკლებულია. ინგლისის გაზეთების სტამბოლელ კორესპონდენტებს ამის შესახები ცნობები რომ სარწმუნო წყაროდგან შეეტყოთ, რასაკვირველია, ისიც ეცოდინებოდათ, რომ ასეთი მოლაპარაკება რუსეთისა და ოსმალეთის შუა არასოდეს არა ყოფილა და არც მიზეზია მისის დაწყებისა. შავის ზღვის ფლოტი დანიშნულია ზღვის ნაპირების დასაცველად და არა იმად, რომ ხმელთა შუა ზღვის ფლოტს შეუერთდეს. საჭიროა, რომ შავის ზღვის სანაპიროების, რომელთა სამი-მეოთხედი რუსეთს ეკუთვნის, დასაცველად სამხედრო ძალა ჰქონდეს რუსეთს ამ ადგილას. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ რუსეთის მთავრობა სცდილობს ამ ფლოტის გაძლიერებას. ხოლო ეს კი სხვა არის და ის სულ სხვა, რომ ვითომ რუსეთის მთავრობას უნდა სამხედრო ძალა შავისა და ხმელთა შუა ზღვებისა ერთმანეთს შეუერთოსო. ამ ორს მოსაზრების შორის დიდი ზღვარია და მხოლოდ მოუსვენარი ოცნება თუ გადალახავს ასეთს საზღვარს,

**

ჟურნალ „Наблюдатель“-ში დაბეჭდილია საუცხოო წერილი დედათა განათლების შესახებ. აი რასა სწერს, სხვათა შორის, წერილის ავტორი:

საზოგადოებისათვის აუცილებლად საჭირო არ არის, რომ დედაკაცმა მეცნიერება წინ წასწიოს, მის წვრილმანში გაერთოს, მაგრამ მას მაინც უნდა ჰქონდეს სიყვარული ცოდნისა, საფუძვლიანად და მრავალ-მხრივად ნასწავლი უნდა იყოს და მოსწავლე თაობას უნდა შთაუნერგოს სიყვარული გონებრივის მუშაობისა სასწავლებლის შემდეგ, მაშინ, როდესაც ცხოვრების ობი ეკიდება ადამიანს და მისი მორევი აუღრუღუმელავებს. ერთის სიტყვით, დედაკაცს უნარი უნდა ჰქონდეს მოზარდე კაცთა მომზადებისა, რომ ამათ თითონვე შესძლონ ფიქრისა და ცხოვრების გზაზედ წარმატება, სულ ერთია, რა მდგომარეობაშიაც უნდა ჩააყენოს დროთა ვითარებამ.

დედათა სასწავლებელი საერო სასწავლებელია და ამიტომ ასეთს სასწავლებლებში დედათა და ყმაწვილების ჰიგიენა და სამკურნალო მეცნიერება ქალებს—ბებიაგოგებსა და ექიმებს უნდა გარდაეცეთ. ამ მხრივ ჩვენ ვაჟების სასწავლებლის შესახებ ვერას ვიტყვით, თუმცა-კი არც იმ აზრის წინააღმდეგნი ვართ, რომ სავაჟო გიმნაზიის პირველს სამსა და ოთხს კლასში ქალები იყვნენ მასწავლებლებად, ნამეტნავად მოსამზადებელს კლასებშიო.

ეს სურვილი ზემოხსენებულ წერილის ავტორისა ფრიად საყურადღებოა და თანასაგრძნობი.

---

# რუსეთი

მკითხველებს მოეხსენებათ, რომ უკვე გაუქმებულ იქმნა მოსკოვის პეტრე-რაზუმოვსკის აკადემია. იმის მაგიერ ამ შემოდგომაზედ მოსკოვში გამართული იქმნება უმაღლესი სასოფლო სამეურნეო სასწავლებელი, რომელშიაც სწავლა ოთხს წელიწადს გასტანს, წელიწადში ლექციების მოსმენა ეღირება 100 მან., ხოლო ცხოვრება 300 მან. ამ უმაღლესს სასწავლებელს ეწოდება მოსკოვის სამიწად-მოქმედო ინსტიტუტი.

—

შინაგან საქმეთა სამინისტროსთან მინისტრის ამხანაგის სიპიაგინის თავმჯდომარეობით შემდგარს კომისიაში, რომელსაც მინდობილი აქვს გარდასახლების საქმის განკარგება, შეტანილია სხვათა შორის, განსახილველად წინადადება ამიერ-კავკასიის ადმინისტრაციისა, რომ სასურველია იმიერ-კასპიის ოლქსა და სპარსეთის საზღვარს ახლო დასახლებულ იქმნენ რუსეთის გლეხნიო. პროექტით განზრახულია, რომ გადმოსასახლებელთ შემწეობა აღმოეჩინოთ და სესხად მიეცეთ 50 მან. გზის ფულად და 100 მან. მოსაწყობად. ამას გარდა გარდაწყვეტილია, სესხივე აღმოეჩინოთ იმ გლეხთა კერძო საზოგადოებათ, რომელნიც ახლად დასახლებულან, მოწყობილან კიდეც, მაგრამ მაინც გაჭირვებულნი არიან და ნაკლებულობა აქვთ.

—

გაზ. «Моск. Вѣд.»-ი ამბობს, რომ წარსულის წლის დამლევს მოსკოვის რუსეთის სიტყვიერების მოყვარულთა საზოგადოებაში რუსეთის მწერალის ნ. ვ. გოგოლის ძეგლისათვის შეწირული ფული 63,134 მან. 74 კაპ. შეადგენდაო.

—

გაზ. „Р. Ж.“-ი სწერს: „წერა-კითხვის მცოდნე ჯარში გაყვანილთა შორის რუსეთში 1887 წელს იყო 27,10%. ბიჩკოვის გამოანგარიშებით, რუსეთის 110 მაზრაში წერა-კითხვის მცოდნე დედაკაცთა რიცხვი არ აღემატება 0,30%. კამიშინის მაზრის ახალ-მოშენე გერმანელთა შორის წერა-კითხვის მცოდნე დედაკაცთა რიცხვი 71,70%, ხოლო იმათ მეზობლად მცხოვრებ ველიკოროსთა შორის-კი 1,50%. ა. ნ. სტრანნოლიუბსკის ანგარიშით, საზოგადო რიცხვი ევროპის რუსეთის სოფლის მკვიდრთა წერა-კითხვის უცოდინარებისა, მამაკაციც რომ ჩავსთვალოთ და დედაკაციც, 90% ნაკლები არ იქნებაო. ნუ თუ ვინმე დაიჯერებს, რომ მე-XIX საუკუნეს მიწურულში ევროპაში ისეთი ქვეყანაა, სადაც წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი თანდათან კლებულობს. გ. სირნოვი ამბობს, რომ ჯარში გაყვანილთა შორის წერა-კითხვის მცოდნეთა შეხვედრა უფრო და უფრო იშვიათი ხდება, კლებულობს, ასე რომ შეიძლება დიდად არა სასურველ სიცოტავემდე იკლოსო.

დასასრულ ესევ გარემოებაა აღნიშნული დიდის მთავრის ვლადიმირ ალექსანდრეს ძის მიერ ჯარში გაცემულ, ბრძანებაში: „სტატისტიკიდგან დავრწმუნდი, ჩემდა სამწუხაროდაო, სწერს დიდი მთავარი, რომ წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი თან-და-თან კლებულობს». რუსთა უვიცობის ზღვა ხშირად ისეთი ღრმაა, რომ აზიის მკვიდრნიც-კი სჯობნიან. მაგალითებრ, ყაზანის გუბერნიაში ყველაზედ მეტად მცოდნენი წერა-კითხვისა თათრები არიან; ასევეა სარატოვის გუბერნიის კუზნეცკის მაზრაში. სამარის გუბერნიის ერობის სტატისტიკა სწერს, რომ თათრები და ბაშკირები ჩვენს გუბერნიაში ერთი-ათად მცოდნე არიან წერა-კითხვისა რუსებზედაო...

---

# უცხოეთი

**ავსტრი-უნგრეთი.** პირველს თებერვალს ჩეხთა სეიმში რიგერმა გრძელი სიტყვა წარმოსთქვა ჩეხებისა და გერმანელების დამოკიდებულებისა და ჩეხთა არისტოკრატიის საქციელის შესახებ. მლადო-ჩეხი შილი ამტკიცებდა, რომ ჩეხიის ხარჯთ-აღრიცხვა მხოლოდ მაშინ მოვა წესსა და რიგში, როდესაც აღიარებული იქმნება ჩეხიის სახელმწიფო უფლებაო, და დიდად ჰკიცხავდა ჩეხთა არისტოკრატებს, რომელთაც თავისის მშვიდობის დასაცველად ჩეხიის ერს უღალატესო. ამის პასუხად რიგერი ამტკიცებდა, რომ გერმანელ-ჩეხთა მორიგება სასარგებლო იქნებოდა ჩეხთა ერისათვის და მოვა დრო, როდესაც ჩეხები დიდად ინანებენ ამ მორიგების წინააღმდეგობის გაწევისათვისაო. საკუთარი ძალ-ღონე შეგიძლიანთ წყალს მისცეთ, მაგრამ ის, რაც ერს მოუპოვებია, მტკიცედ და ფრთხილად უნდა იქმნეს დაცულიო. ეს მორიგება თვით ჩეხებისათვისვე იყო სასარგებლო და საჭირო. გერმანელები თანახმანი არიან აღიარონ ჩვენი ერთ-უფლება, მაგრამ ის-კი არა ჰსურთ, რომ თავის თავსაც და ჩვენ ერთი და იგივე ფასი დაგვდონ. ჩეხებს თავი უნდა მოსწონდეთ, რომ

---

გახდეს მეოხი ხალხისა ყოველგვარ მარცხისა და ავად-მყოფობის დროს. სოფელს უნდა ჰდარაჯობდეს იურისტი, რომ სოფლის მჭამელ მოხელეთა და „აბლოკატთა“ მოქმედება აღაგმოს. ვისაც სოფლად უცხოვრია და სოფლის ჭირი და ლხინი უგრძვნია, ყველა დამეთანხმება, რომ ეს ცალიერი სიტყვები არ არის, არამედ ყოველსავე ამას საქმის გამწვავებული ვითარება თხოულობს.

მართალია, ჯერ ცოტაა ჩვენში უმაღლეს სწავლა-დამთავრებულ ახალგაზრდათა რიცხვი, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ვინც-კია, ყველა ქალაქს ეტანება და სოფლად გული არავის უდგება. განათლებულ ახალგაზრდას ვერ დაუძლევია სოფლის „სკუჩნაობა.“ ვერ დაუძლევია იმიტომ, რომ სოფლად საქმე ვერ გაუჩენია. ხოლო უსაქმობა, როგორც მოგეხსენებათ, დედაა «სკუჩნაობისა» და სულის სიცალიერისა. მერე რას უნდა მივაწეროთ ის გარემოება, რომ განათლებული კაცი სოფლად საქმეს ვერ ჰპოულობს და „სკუჩნაობაში“ ამოსდის სული? აქ ორი მიზეზია მოსატანი: ან სოფლის საქმეს საქმედ არ აგდებენ ჩვენი განათლებული კაცები და ან იმდენად არ უჭრით თვალთა ხედვის ისარი, რომ ეს საქმე დაინახონ. ორსავე შემთხვევაში დანაშაული-კი თითონვე არიან.

სოფლის აგრე აბუჩად აგდების განათლებულთაგან, იმას გარდა, რომ სოფელი უპატრონოდ რჩება, სხვა ზარალიც მოაქვს. მდაბიო ხალხს სწავლა-განათლებაზე გული უცრუვდება, რა-კი ერთ განათლებულ კაცსაც არ ჰხედავს ისეთს, რომელიც მასთან ერთად ეწეოდეს ცხოვრების მძიმე უღელს, რომელიც მისს ბედსა და უბედობას, ჭირსა და ლხინს, შუა იყოფდეს. სხვათა შორის ამავე მიზეზს მიეწერება ის გარემოებაც, რომ გლეხთა საზოგადოება ნასწავლ-კაცს იშვიათად ირჩევს მამასახლისად. მთელ დასავლეთ საქართველოში თითო-ოროლაა ისეთი მამასახლისი, რომელმაც საკუთარის სახელისა და გვარის მოწერაც ცუდად იცის. უმეტესობა სრულიად უმეცარია. თუ ნასწავლ კაცის მამასახლისად ამორჩევის შესახებ ჩამოუგდე ლაპარაკი ჩვენს გლეხს, უსათუოდ ამას გიპასუხებს: „ჩემსავით უსწავლმა ყაძახმა რომ ტყავი გამაძროს, ნასწავლი თლა სულს ამომახდენსო“. აქედამ ცხადად სჩანს თუ რა აზრი შეუდგენია გლეხს სწავლა-ცოდნის შესახებ. გლეხის აზრით, სწავლა მახე ყოფილა უსწავლელთა დასაბრიყვებლად და დასაჩაგრავად მოგონილი. ამას შემდეგ რაღად უნდა გაგვიკვირდეს, რომ ასეთის მახით აღჭურვილ კაცს გლეხმა თავი მოარიდოს. ცალიერის სიტყვითა და ქადაგებით როგორ შეიძლება დააჯეროთ, რომ სწავლა მახე-კი არა, მადლია, რომლითაც გონების თვალი ეხილება ადამიანს, რათა სრულ იქმნეს, ვითარცა მამა ზეციერი. აქ მაგალითია საჭირო და სწორედ მაგალითითა და გამოცდილებით იცის გლეხმა, რომ უფრო მცოდნენი ყოველ ნაბიჯზე მახეს უგებენ, ატყუებენ და ჰყვლეფავენ. მაშასადამე, მაგალითითვე უნდა დავამტკიცოთ ის, რასაც პრტყელ-პრტყელის ფრაზებით და მაღალ ფარდების სიტყვით ვქადაგებთ. «ყველაზე მჭევრ-მეტყველი ქადაგება მაგალითია»-ო უთქვამს მეცნიერს. ხოლო სამაგალითო საქმეს მსხვერპლი და თავ-განწირვა ეჭირვება.

მსხვერპლისა და თავ-განწირვის სახელით აქ უნდა ვიგულისხმოთ ის მრავალ-გვარი უსიამოვნება და დევნა, რომელიც სოფლად მოღვაწე ინტელიგენტეს შეხვდება იმათგან, ვინც სოფლის პატრონობას ჩემულობს. მაგრამ განა მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია?! განა უდევნელად და უყვედრელად გაკეთებულა რაიმე კეთილი ამ უკუღმართს ქვეყანაზედ? ნუ დაგვავიწყდება, რომ „ყოველი დიდი საქმე კაცობრიობისა სისხლით იწერება ისტორიაში.“ ხოლო სოფელი ამ ჟამად ისეთს ვითარებასა და გარემოებაში არის, რომ მისი გაძღოლა და პატრონობა სწორედ დიდ საქმედ უნდა ჩაითვალოს. აი, ვრცელი და ცალიერი ასპარეზი გარჯისა, ვისაც საქვეყნო საქმისთვის გული შესტკივა და თან უნარიცა აქვს ასეთის საქმის გაკეთებისა!

საქართველოს რომ იმდენი საქმესა და შრომაში ჩაბმული ახალგაზრდა ჰყავდეს, რამდენიც უხეირო ლექსთა მთხუზველნი, გაპოეტების ამაოდ მსურველნი ახალგაზრდანი არიან, მაშინ ჩვენს ბედს ძაღლიც არ დაჰყეფდა. მაგრამ ხათა ის არის, რომ საქვეყნო შრომაში ჩაბმა გაცილებით უფრო ძნელი საქმეა, ვიდრე უხეირო ლექსის შეთხზვა. ჩვენი ახალ-გაზრდობაც სწორედ ამ ადვილს და ფუქსავატს საქმეში ჰხედვენ ქვეყნის სამსახურს და არახუნებენ. რაც ზეგარდმო მადლ-ცხებულ ნიჭს და სხარტ კალამს ორიოდ სიტყვით მოუჭრია, იმას ახალ-მოვლენილნი მელექსენი მთელ ფურცლებს ანდომებენ, ხოლო საბრალო მკითხველს მაინც ბინდსა და ბურანში სტოვებენ...

დასასრულ, რადგანაც გულის გატეხა არ ვარგა, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი ნასწავლი ახალგაზდობა შეიგნებს ქვეყნის პირდაპირ საჭიროებას და ქარაფშუტობიდამ საქმეზე გადავა. საქმე-კი, როგორც ზემოდ აღვნუსხეთ, სოფლადაა ბევრი, ოღონდ საჭიროა მადლიანი მარჯვენა და გაცისკროვნებული გონება. დაუბრუნდით, ბატონებო, სოფელს, „სადა იგი დიდ არს სამკალ და მუშაკი ყოვლად არა“, ჩაუკვირდით მის ავკარგს და, თუ საქმე ვერ მოძებნოთ, თუ „სკუჩნაობისათვის“, ან უხეირო ლექსთა თხზვისათვის მოიცალოთ, თავი გამაგდებინეთ.

დათიკო ვერმიცანაშვილი

ისეთის ერის მეზობლად სცხოვრობენ, როგორიც არის გერმანია. რაც შეეხება ჩეხთა არისტოკრატიას, იმისი მოვალეობაა, მომრიგებელ-შუამავლად ყოფნა; შეუძლებელია მოვსთხოვოთ, რომ შენი აზრი და შეხედულობა უარ-ჰყავ, უკუ-აგდეო. მლადო-ჩეხების საქციელის შესახებ ის უნდა ვსთქვა, რომ სტარო-ჩეხები ვერ თანავუგრძნობთ იმათ. პირადად მე ედუარდ გრეგრი ძალიან მომწონს, იგი რავაშოლი არ არის. მაგრამ შეუშხუნებს ეთამაშება და ადვილად შეიძლება მოხდეს, რომ რომელმამე შუშხუნამ ცეცხლი გააჩინოს და ამ ცეცხლით ბევრი ყმაწვილი კაცი დაზარალდეს. მე არა მწამს, რომ როდისმე განხორციელებულ იქმნას სურვილი საერთო კენჭის ყრისა. ავსტრიის გარეშე ჩეხიის ერს თავის მისწრაფებათა განხორციელების იმედი არ უნდა ჰქონდეს. ჩეხებს იმის მეტი სხვა აღარა დარჩენიათ-რა, რომ სრულნი ერთგულნი იყვნენ ავსტრიელებისა. მხოლოდ ავსტრიაშია უზრუნველ-ყოფილი ჩეხიის ერის მერმისი. ჩვენი ადგილ-მდებარება მტკიცედ გვაკავშირებს ავსტრიასთან და გამწვავება საქმისა არაფრად ხელ-საყრელია, რადგან ვერავინ გვითავმდებებს, რომ ეს გამწვავება სიკეთესა და სარგებლობას მოგვიტანს. მე მხოლოდ ერთს რჩევას მივცემ ჩემს ერს: თავისი ბედ-იღბალი მხოლოდ პატიოსანსა და გონიერს კაცებს მიანდოს, ისეთს კაცებს, რომელთაც მეგობრობა ჰქონდეთ არისტოკრატიასთან და სამღვდელოებასთან და იმათთან ერთად ეძებდნენ მორიგებასა და მშვიდობიანობას გერმანელებთანაო.

—

**რუმინია.** გაზ. «Presse»-ს აუწყებენ ბუხარესტიდგან, რომ აქ გაცხარებული მოლაპარაკებაა რუმინიასა და ბოლგარიის შორის, რომელთაც ერთმანეთს შორის სამხედრო ხელ-შეკრულობის დადება აქვთ განზრახული. ეს განზრახვა ორსავე პატარა სახელმწიფოს ინგლისის დიპლომატებმა ჩაუნერგეს, საგნად-კი ამ კავშირს მტრის საერთო ღონით მოგერება აქვს. ეხლა რუმინიისა და ბოლგარიის სამხედრო წრეები ძალიან დაახლოვებულები არიან ერთმანეთთან; ერთმანეთს უგზავნიან სამხედრო გეგმას და ამ ცოტა ხანში ურთიერთ იმ ციხე-სიმაგრეთა დათვალიერებასაც შეუდგებიანო.

## გასართობი

—

ორ ბანქოს მოთამაშეს ძალიან უნდოდათ ერთის მდიდარი ექიმის ხელში ჩაგდება, მაგრამ ისე მოუცლელად იყო ეს ექიმი ავადმყოფების სიმრავლისა გამო, რომ ვერ მოახერხეს. ბოლოს მესამე ბანქოს მოთამაშემ შემდეგი ხერხი იხმარა: განგებ მოიავადმყოფა თავი და მოიწვია ის ექიმი. ექიმი რომ მოვიდა ავადმყოფის სანახავად, ორი ბანქოს მოთამაშე ქაღალდს თამაშობდნენ და ამ ექიმს თვალი იმათკენ დარჩა. ამათ სათამაშოდ მიიწვიეს და, რასაკვირველია, მოაგებინეს. მეორე დღეს კიდევ მოიგო ექიმმა, მაგრამ ეს დიდხანს არ განეგრძო და შემდეგ დღეებში ამ ბანქოს მოთამაშეებმა დიდძალი ფული მოუგეს ექიმს.

**

ერთმა ხელმოჭერილმა კაცმა თითონ იყიდა მაუდი თავის ჩოხისათვის და დააძებინა მკერვალი ზომის ასაღებად. მკერვალმა ზომა აიღო და უთხრა, მაუდი საკმარისი არ არისო.

— მე ყოველთვის ამდენს ვყიდულობ და მყოფნის კიდეც, უპასუხა ამ კაცმა. მაგრამ რა-კი მკერვალი არ დასთანხმდა, გალანძღა ეს მკერვალი, გააგდო და მეორე მოიწვია, მეორემ უთხრა, საკმარისიაო.

— მაშ როცა ჩოხა მზად იყოს, ანგარიშიც თან მაიტანეთ.

კვირა დღეს ჩოხა მოუტანეს, მშვენივრად შეკერილი.

— ანგარიში? ჰკითხა პატრონმა.

— აჰ, უკაცრავად შინ დამრჩა.

ამ დროს ვილამაც ზარი დარეკა და სახლში მკერვალის შვილი შემოვიდა, ახალ ჩოხაში გამოწყობილი.

— ეს რას ნიშნავს, ეს ხომ ჩემის ჩოხის ნაჭერია!.. ერთი მითხარით ეს რა ამბავია? თქვენი ამხანაგი ამბობდა, ეს მაუდი ჩოხისათვის საკმარისი არ არისო და თქვენ-კი თქვენის შვილისათვისაც გიმყოფინებიათ.

— ეგ ძალიან ადვილად აიხსნება, ბატონო, იმ მკერვალის შვილი ექვსის წლით უფროსია ჩემს შვილზედაო, უპასუხა დაუფარავად მკერვალმა.

## გამოსადეგი ცნობა

—

ღრუბელი ტანისამოსის საწმენდად ჩოტკის მაგიერ. ტანისამოსის საწმენდად ღრუბელი ბევრად სჯობია ჩოტკს. რაც უნდა კარგი ჩოტკი იყოს, მაინც ხშირის ხმარებით ჭსხავს ტანისამოსს, მეტადრე ხაოიანს და ფარჩეულობას ხომ სულ ვერ გასწმენდს. ღრუბელი სულ სხვაა. მოდიდო ღრუბელი, ესე ორის მუშტისოდენა, უნდა დაასველოდ სუფთა წყალში, ჯერ ხელით კარგად გაწუროთ და მერე რამდენჯერმე ტილოთი და ამითი გასწმინდოთ მტვრიანი ტანთსაცმელი, არამც თუ მაუდისა, ხავერდისა და აბრეშუმისაც-კი, მტვერს გარდა, ღრუბელი სწმენდავს იმ ლაქებსაც, რომელიც ან წვიმისაგან არის დაჩნეული, ან ტკბილეულობისაგან.

# დეპეშა

16 თებერვალი

**პეტერბურგი.** გუშინ მოიწამლა თავი ვიაჩესლავ გაიდებუროვმა, რომელიც ძმის სიკვდილს შემდეგ რედაქტორად იყო გაზ. «Недѣля»-სი, და რომელიც ამ გაზეთში, თანამშრომლობდა 15 წელს.

დღეს ნავთის-მწარმოებელთა უკანასკნელ კრებაზედ გადასწყვიტეს დაწესებულ იქმნას შემცირებული ტარიფები ნავთის ნარჩენებისათვის.

**ბერლინი.** კაპრივიმ სთქვა: „რაკი სავაჭრო ხელ-შეკრულობა გვაქვს რუსეთთან, გერმანია, 10 წლის განმავლობაში მშვიდობით დატკბება; სიხარული გვმართებს მხოლოდ იმის გამო, რომ რუსეთი დაგვთანხმდა. განგრძობა სატამოჟნო ომისა საშინლად მავნებელია გერმანიისათვის; ხელ-შეკრულობა ზარალს არავის არ აძლევს; რუსეთს მივეცით ისვე, რაც დაუთმეთ ავსტრიას; მაშასადამე, ხელ-შეკრულობა ჩვენთვის სახეირო პირობით არის დადებული; თუ ხელ-შეკრულობას არ მივიღებთ, გავსწყვეტთ იმ ძაფებს, რომელიც აკავშირებს რუსეთსა, და გერმანიას. ბისმარკი დიდხანს სცდილობდა, ხელ-შეკრულობა დაედო რუსეთთან და ამბობდა, რომ თუ მე ვერ მოვახერხე ესა, ჩემი მოადგილე მოახერხებსო და აი ახლა თავადის მოადგილემ აასრულა მისი ანდერძი“.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადო იმ პირთა, რომლებმაც შემოსწირეს ჩემ მიერ დაარსებულს უფასო სამკითხველოს ფულად, თუ ნივთებით: 1) ანტონ სამარკინმა 5 მან.; 2) ფოტინე სამარკინისამ ურუშაძის ასულმა 5 მ.; 3) საშა ცინცაძისამ წერეთლის ასულმა 3 მან. წიგნები; 4) კირილე წილოსანმა 5 მ.; 5) დავით კერესელიძემ 2 მან.; 6) პავლე ურუშაძემ 1 მანეთი; 7) ნიკოლოზ ურუშაძემ 1 მან.; 8) ბლადიჩინმა ქეთიმე კალანდარაშვილმა 5 მან.; 9) უცნობმა პირმა სამი მანეთის წიგნები; 10) დიმიტრი კალანდარიშვილმა ხუთი მანეთის წიგნები; 11) დავით იგნაიშვილმა ხუთი მანეთის წიგნები; 12) ნესტორ ცინცაძემ ორი მანეთის ქართულ და რუსული წიგნები; 13) დათა ცინცაძემ ორი მანეთის წიგნები; 14) ივანე ებრაელიძემ ექვსი აბაზის ნივთი.

გამგე ლანჩხუთის უფასო სამკითხველოსი შალიკო ივანეს ძე ცინცაძე

### პეტერბურგის ბირჟა, 15 თებერ.

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა. | გაყიდ-ულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,52 | 7,58 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები | $150\frac{1}{4}$ | $151\frac{1}{4}$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — , | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — ,, | — ,, | 244 |
| —მეორისა | | — ,, | 228 |
| 4% მესამე სესხისა | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | — ,, | — ,, | $193\frac{1}{4}$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% | 101 | — ,, | — ,, |
| 5% | $98\frac{1}{4}$ | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკის 6% | $100\frac{3}{8}$ | — ,, | — ,, |
| 5% | $48\frac{1}{4}$ | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | $98\frac{1}{4}$ | — ,, | — ,, |

## „ივერიის“ ფოსტა

—

**ქ—სს ი. თ—ძეს.** თქვენი ლექსი „თვალი“ არ დაიბეჭდება. არა ღირს ამისთანა ლექსის წერისათვის კაცი მოსცდეს.

## რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი № 2 9 ს. 30 წ. დილ. და № 4 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის № 1 9 ს. 52 წ. საღ. და № 3 12 ს. 25 წ. დღ.

ტფილისიდგან ბაქოს № 3 მიდის 1 ს. 20 წ. დღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის 5 ს. 50 წ. საღ.

### ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის 9 ს. 20 მ. ღამ.

განჯიდგან ტფილისს მოდის 1 ს. 30 წ. დღის.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 12 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში და კერჩში.

სამშაბათობით და შაბათობით: შორის გზით 2 ს. შუად. შეივლის ყველა ნავთსადგურში.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე-გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

პარასკეობით და ოთხშაბათობით: საღ. შორის გზით, შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან.

ფოთიდგან გადის:

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე.

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

—


# განცხადებანი

## პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

**გ. მ. ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი,** 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ი. ფ. ბრონტასევიჩი,** $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი.** $12\frac{1}{2}$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

**ა. ზ. კარაპეტიანცი,** 1—$1\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. გურკო,** 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 7—$7\frac{1}{2}$ საათამდის.

**გ. ი. ფრანციუსი,** 7—$7\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

**შვედურს მაღაზიაში;** მიხაილოვის ქუჩაზედ, № 99 მივიღეთ ახალი „**თესლეულობა**“ ბოსტნეულობისა, ყვავილებისა და ბალახეულობისა, აგრედვე ახალი შვედური ორთქლით მოხარშული შვრია „**ფქვილი და კრუპა**“ დიდად მარგებელი საზოგადოდ და განსაკუთრებით ავადმყოფ და გამხდარ ბავშვებისათვის. აქვე მივიღეთ ახალი კუხნა „**პრიმუს**“ რომელიც უპატრუქოთ აინთება ნავთით. პრეისკურანტები გაეგზავნებათ მსურველთ უფასოდ. (10—1)


## ქალაქის სამკურნალო

(მუხრანიანთ ქუჩა, სახ. ყუზანოვისა № 15)

დაარსებულია ტფილისის მოქალაქეთაგან 1866 წლის 4 აპრილის სახსოვრად გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ-დღე, კვირა-დღეებს გარდა, ზამთრობით დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის 1 საათამდე, ხოლო ზაფხულობით (ივნისს, ივლისს და აგვისტოს) 8—12 საათამდე.

ვ. მ. არწრუნი—სნეულებანი: შინაგანი, ნერვებისა და ყმაწვილებისა $10\frac{1}{2}$—12 საათ.

ჰ. ა. გონიევი—სნეულებანი: შინაგანი და ყმაწვილებისა $10\frac{1}{2}$—12 საათ.

გ. გ. გულულიანცი—სახირურგიო და ასოთა ავადმყოფობანი 11—12 საათ.

ქალი-ექიმი მ. ა. ისაკოვისა—დედათა ავადმყოფობანი 9—11 საათ.

ნ. გ. ყასუმოვი—სნეულებანი შინაგანი და ყმაწვილებისა 11—1 საათ.

ს. ნ. ლევინი—სახირურგიო და ასოთა ავადმყოფობანი 11—12 საათ.

მ. ა. მირაქოვი—შინაგანი და ვენერიული 12—1 საათ. (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით).

ა. გ. მურზაევი — სნეულებანი: ყურისა, ყელისა და ცხვირისა 9—10 საათ. (ყოველ-დღე ხუთშაბათს გარდა).

ქალი-ექიმი ლ. ა. მუხარინსკისა—დედათა სნეულებანი 11—12 საათ.

ი. ა. რაზამატი — სნეულებანი: შინაგანი, ყმაწვილებისა და ტკივილი კბილებისა 9—10 საათ.

მ. ა. რეხტზაბერი—სნეულებანი: შინაგანი და ნერვებისა 11—12 საათ.

გ. ნ. სტეფანოვი—სნეულებანი: შინაგანი, ასოთა და ვენერიული 11—12 საათ.

გ. ა. თარხანოვი—სნეულებანი: შინაგანი და ხირურგიული 12—1

ქალი-ექიმი ს. ა. შმიტცი—სნეულებანი დედათა და ტკივილი თვალებისა 11—12 საათ.

დანტისტი ა. ო. ორბელი — ტკივილი კბილებისა 10—11 საათ.

კონსილიუმი არის ხოლმე სამშაბათობითა და პარასკევობით 12—1 საათ.

უვავილის აცრა ოთხშაბათობითა და შაბათობით 9—1 საათ.

ავლაბრის განყოფილება

(კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა)

მ. ა. ქალანთარი 11—12 ყოველ-დღე.

ქალი-ექიმი მ. ა. ისაკოვისა 11—12 (სამშაბათობითა და პარასკევობით)

ხარფუხის განყოფილება

(აბანოების მოედანი, სახ. ენფიანჯიანცისა)

გ. ბ. ტერ-ასატუროვი—11—12 ყოველ-დღე.

ქალი-ექიმი მ. ა. ისაკოვისა—12—1 საათ. სამშაბათობითა და პარასკევობით.

შენიშვნა. სამკურნალო რჩევა-დარიგება და წამლები მიეცემათ უსასყიდლოდ სამკურნალოს ხარჯით მარტო შეუძლებლებსა.

გამგე ქალაქის სამკურნალოსი გ. სტეფანოვი

—

Доз. ценз. Тифлисъ, 17-го Февраля 1894 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე